# საქართველო

# სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის

# ბრძანება

N 37 162

12/02/2019

**ქალაქ სამტრედიაში, რესპუბლიკის ქ. №118-ის მიმდებარედ არსებული 115.00 კვ.მ სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.50.608) პრივატიზების შესახებ**

---

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54–ე მუხლის პირველი ნაწილის ,,დ“–ქვეპუნქტის ,,დ.ა“–ქვეპუნქტის, ,,ე“–ქვეპუნქტის ,,ე.ე“–ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“ მე–2 მუხლის ,,ი“–ქვეპუნქტის და 34–ე მუხლის პირველი პუნქტის და სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 08 თებერვლის №38 15 განკარგულების მიხედვით,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

**1.1.** ქალაქ სამტრედიაში, რესპუბლიკის ქ. №118-ის მიმდებარედ არსებული 115.00 კვ.მ სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.50.608) პრივატიზება განხორციელდეს ელექტრონული აუქციონის ფორმით.

**1.2.** ელექტრონული აუქციონზე ქალაქ სამტრედიაში, რესპუბლიკის ქ. №118-ის მიმდებარედ არსებული 115.00 კვ.მ სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.50.608) საწყის საპრივატიზებო საფასურად განისაზღვროს 300 (სამასი) ლარი.

**1.3.** ელექტრონული აუქციონზე ქალაქ სამტრედიაში, რესპუბლიკის ქ. №118-ის მიმდებარედ არსებული 115.00 კვ.მ სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.50.608) ბიჯი განისაზღვროს მისი საწყისი საპრივატიზებო საფასურის 10%–ს ოდენობით.

**1.4.** ელექტრონული აუქციონზე ქალაქ სამტრედიაში, რესპუბლიკის ქ. №118-ის მიმდებარედ არსებული 115.00 კვ.მ სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.50.608) საგარანტიო თანხა განისაზღვროს მისი საწყისი საპრივატიზებო საფასურის 20%–ს ოდენობით.

**1.5.** ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში უნდა გადაიხადოს მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულება.

**2.** თუ ელექტრონული აუქციონი არ შედგა იმ მიზეზით, რომ ელექტრონულ აუქციონში რეგისტრირებული პირები, რომლებმაც გადაიხადეს ბე ან წარადგინეს/გააქტიურეს (ელექტრონულად) უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, არ მიიღებენ მონაწილეობას ვაჭრობაში, ელექტრონული აუქციონის მონაწილეების მიერ გადახდილი ბე ან წარდგენილი/გააქტიურებული (ელექტრონულად) უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია სრულად ჩაირიცხება სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

**3.** ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

ვალერიანე ფოცხვერია

მუნიციპალიტეტის მერი